შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის

დირექტორის ბრძანება

22/12/2025

№ 00027767

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული პროგრამის იმ კომპონენტის/კომპონენტების, რომელთა დისტანციურად სწავლება ან/და შეფასება შესაძლებელია დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესის ეტაპებზე, პროცესში ჩართულ პირთა მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების, ასევე, დისტანციური სწავლებისა და შეფასების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №143/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 19 ნოემბრის N131/ნ ბრძანების და შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის წესდების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული პროგრამის იმ კომპონენტის/კომპონენტების, რომელთა დისტანციურად სწავლება ან/და შეფასება შესაძლებელია დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესის ეტაპებზე, პროცესში ჩართულ პირთა მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების, ასევე, დისტანციური სწავლებისა და შეფასების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს "შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული პროგრამის იმ კომპონენტის/კომპონენტების, რომელთა დისტანციურად სწავლება ან/და შეფასება შესაძლებელია დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესის ეტაპებზე, პროცესში ჩართულ პირთა მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების, ასევე, დისტანციური სწავლებისა და შეფასების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესაცებ" შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის 2025 წლის 25 ნოემბრის N25579 ბრძანება.
3. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კერძო კოლეჯების ასოციაცია
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი
დირექტორი
სუხიშვილი სოფიო

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული პროგრამის იმ კომპონენტის/კომპონენტების, რომელთა დისტანციურად სწავლება ან/და შეფასება შესაძლებელია დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესის ეტაპებზე, პროცესში ჩართულ პირთა მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების, ასევე, დისტანციური სწავლებისა და შეფასების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე წესი არეგულირებს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის (შემდგომში კოლეჯი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მომზადება და გადამზადების პროგრამების კომპონენტების დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესის ეტაპებს, პროცესში ჩართულ პირთა მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, ასევე, დისტანციური სწავლებისა და შეფასების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებს.

1.2. წესი შემუშავებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №143/ნ ბრძანების საფუძველზე და მასთან სრული შესაბამისობით.

1.3. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განისაზღვრება პროგრამის ის კომპონენტი/კომპონენტები, რომელთა დისტანციურად სწავლება ან/და შეფასება შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იმ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების ფარგლებში, რომლებიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს.

მუხლი 2. დისტანციური სწავლება და მისი ფორმები

1. დისტანციური სწავლება გულისხმობს სრულად თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესს, მის დისტანციური/ელექტრონული ფორმით, ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართვას.

2. დისტანციური სწავლება ხორციელდება სინქრონული ან ასინქრონული კომუნიკაციის ფორმით.

- **სინქრონული კომუნიკაცია** გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება;

- **ასინქრონული კომუნიკაცია** ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს არ ხორციელდება.

მუხლი 3.დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესის შეზღუდვები

1. დაუშვებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება დისტანციური ფორმით;
2. პროგრამა არ შეიძლება განხორციელდეს დისტანციური სწავლების სრულად ასინქრონული ფორმით.
3. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მოთხოვნის შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების პროცესის ორგანიზება არადისტანციური ფორმით;
4. კოლეჯი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს პროფესიული სტუდენტს/ მსმენელს პროგრამის დისტანციურად განოხრციელბული კომპონენტის და გასათვალისწინებელი სპეციფიკის შესახებ;

მუხლი 4. დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესში ჩართული პირები

კოლეჯში განხორციელებულ დისტანციურ სწავლებაზე პასუხისმგებლობას ინაწილებენ კოლეჯის შემდეგი თანამშრომლები:

1. პროგრამის ხელმძღვანელი — სასწავლო პროცესის აკადემიური ზედამხედველობა;
2. პროფესიული განათლების მასწავლებელი — სწავლების ორგანიზება და აქტივობების წარმართვა;
3. სასწავლო პროცესის მენეჯერი — ტექნიკური მხარდაჭერა, Teams ადმინისტრირება, ჩანაწერების მართვა;
4. კოლეჯის IT მენეჯერი - უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების პროცესის შეუფერხებლად განხორციელებას;
5. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი — პროცესის მონიტორინგი და შეფასება, ანგარშვალდებულება კოლეჯის დირექტორთან;
6. კოლეჯის დირექტორი - შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

მუხლი 5. დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესის ეტაპები

I ეტაპი — სასწავლო პროცესის დაგეგმვა

1. პროგრამის ხელმძღვანელი:
1.1. ადგენს პროგრამაში დისტანციურად დასაშვებ კომპონენტებს სტანდარტთან შესაბამისად;
1.2. შემუშავებულ მოდულს/პროგრამასწარადგენს კოლეჯის სასაწავლო პროცესის მენეჯერთან ;

2. პროფესიული განათლების მასწავლებელი:
2.1. ამზადებს სასწავლო მასალებს;
2.2. ადგენს მეცადინეობის გეგმას;
2.3. განსაზღვრავს აქტივობებს და შეფასების ფორმებს.

II ეტაპი — ტექნიკური მომზადება

1. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი:
1.1. ქმნის Teams ჯგუფებს;
1.2. ამატებს პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს;
1.3. ამოწმებს კავშირს და ტექნიკურ რესურსებს;
1.4. ტესტავს Teams-ის ავტომატური ჩანაწერის ფუნქციას;
1.5. ახდენს სტუდენტთა ტექნიკურ პრობლემების იდენტიფიცირებას და ატყობინებს კოლეჯის IT მენეჯერს;

2. IT მენეჯერი ცდილობს იდენტიფიცირებული პრობლემის დაუყოვნებლივ მოგვარებას;

III ეტაპი — სინქრონული სესიის ჩატარება

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი:
1.1. ატარებს მეცადინეობას სწავლის შედეგების შესაბამისად.
1.2. ახორციელებს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების დასწრების აღრიცხვას;
1.3. რთავს ვიდეოჩაწერის ავტომატურ რეჟიმს;
1.4. უზრუნველყოფს აქტიურობას, დისკუსიას, პრაქტიკულ მუშაობას;
1.5. აფიქსირებს ტექნიკურ პრობლემებს.
1.6. თუ პრობლემა 10 წუთში არ მოგვარდება — მეცადინეობა გადაიდება ან ნაწილობრივ გადადის ასინქრონულ რეჟიმში.
1.7. პროფესიული განათლების მასწავლებლის მხრიდან ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში მეცადინეობა გადაიდება ან ინიშნება აღდგენა.

IV ეტაპი — ჩანაწერების და დოკუმენტაციის მართვა

1. კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური:
   1.1. ინახავს Teams-ის ავტომატურ ჩანაწერებს საცავში;
   1.2. უზრუნველყოფს ჩანაწერების დაცვას და შენახვას 3 წლის განმავლობაში
   1.3. აკრძალულია ჩანაწერების პირად მოწყობილობაზე გადატანა.
2. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მხრიდან ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში მას მიეცემა დაშვება ჩანაწერზე.

მუხლი 6. დისტანციური სწავლებისა და შეფასების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები

1. დისტანციური სწავლებისა და შეფასების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები სრულ თანხვედრაშია კოლეჯში ჩამოყალიბებულ ხარისხის კულტურასთან.
2. დისტანციური სწავლების თავისებურებების გათვალისწინებით კოლეჯის ხარისხის მართვს მენეჯერი ახორციელებს მონიტორინგს შემდეგი ფორმით:
   - სინქრონული live მონიტორინგი;
   - Teams ჩანაწერების მონიტორინგი;
   - პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა/პროფესიული განათლების მასწავლებელთა დასწრების, აქტივობების, შეფასების მონიტორინგი.
3. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი პროგრამის თითოეულ კომპონენტზე ახორციელებს მინიმუმ 2 მონიტორინგს და ამზადებს მონიტორინგის ანგარიშს;
   3.1. მონიტორინგის ანგარიში იგზავნება კოლეჯის დირექტორთან;
   3.2. საჭიროების შემთხვევაში ხდება რეკომენდაციების გაცემა;

მუხლი 7. დასკვნითი დებულება

7.1. წესი დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით;
7.2. მასში ცვლილება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით